საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
შპს „სანალია“-ს (ს/კ 247860998) დირექტორის
ბატონი სულიკო მახარაძის

სკრინინგის განცხადება

ბატონო/ქალბატონო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. მახალაკიძეებში მოწყობილია შპს „სანალია“-ს საკუთრებაში ჩირუხ-სანალია ჰიდროელექტროსადგური. ჩირუხ-სანალიას არსებული ჰესის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 4.2 მგვტ-ს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებს მიეკუთვნება: “2 მეგავატიდან 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია” (3.8 პუნქტი).

შესაბამისად, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 09 ივლისის N2-1045 ბრანებით გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება შუახევის მუნიციპალიტეტში, შპს „სანალია“-ს 4.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ჩირუხ-სანალიას“ ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაზე.

2022 წლის 09 თებერვლის N2081 წერილით შპს „სანალიამ“ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა წერილით აღნიშნული სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებული თევზსავალების ადგილმდებარეობის ცვლილებებთან დაკავშირებით.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 22 თებერვლის N1705/01 წერილის თანახმად დაგეგმილი ცვლილებები საჭიროებს სკრინინგის პროცედურის გავლას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართები

1. შპს „სანალია“-ს მდ. ჩირუხისწყალზე და მდ. სანალიაზე ჰიდროელექროსადგურის (4.2 მგვტ) ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება - 1 ეგზემპლიარი (ელექტრონული ვერსია);

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 5588
"15" 03 2022
03

2. შპს „სანალია“-ს მდ. ჩირუხისწყალზე და მდ. სანალიაზე ჰიდროელექროსადგურის არსებულ წყალმიმღებ ნაგებობებზე თევზსავალი კვანძების მოწყობის პროექტი - 1 ეგზემპლიარი (ელექტრონული ვერსია);

პატივისცემით,

შპს „სანალია“-ს დირექტორი

სულიკო მახარაძე